F567N3432

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოეთის საქართველო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-12 წელი

№ 13 (197)

ივლისი,

1968 წელი



ცეკვა „ქართული“ — საჭორწილო. ასრულებენ ც. კოტორაშვილი და ო. ჭიჭინაძე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკა თბილისი

შენი საშობლოს ერთი დღე

ახალი ტურისტული ლიტერატურა

საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭო წელს გამოუშვებს ალბომს **„აფხაზეთის კარსტული მღვიმეები“** და ბუკლეტს **„სოხუმი“**. დასაბეჭდად მომზადებულია გასაშლელი მიკროალბომები **„თბილისი“, „სვანეთი“, „საქართველოს სამხედრო გზა“, რიწის ტბა“, „მესხეთი“, „სვანეთი“, „სოხუმი“, „ბათუმი“, „რუსთავი“, „ქუთაისი“, „წყალტუბო“, „ჰიათურა“, „ახალი ათონი“, „გაგრა“.**

იზმირში, გამოფენაზე

თბილისის საპარფიუმერიო-კოსმეტიკური ფაბრიკის „ივერიის“ კოლექტივმა დაიწყო ჭადრაკის ფიგურებისმაგვარი ფლაკონების გამოშვება. ამ ფლაკონებით უშვებენ სუნამოებს „ნონას“, რომელსაც ასე ეწოდა მსოფლიო ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის პატივსაცემად.

ფაბრიკამ უკვე გაგზავნა ეს სუნამო იზმირში, საერთაშორისო ბაზრობაზე. საწარმო ამ ბაზრობაზე წარადგენს აგრეთვე სუნამოებს „ნანას“, „საამოს“, „დაისს“, ოდეკოლონ „შობას“.

იზრდება საქართველოს ფლოტი

გვესაუბრება საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსი ა. კაჭარავა.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პირველი ნავიგაციის ალმის აღმართვის დღიდან წელიწადი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ქართველმა მეზღვაურებმა მნიშვნელოვანი შრომითი წარმატებანი მოიპოვეს. აი რა უამბო **„სამშობლოს ხმის“** კორესპონდენტს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსმა **ა. კაჭარავამ.**

— საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ახალგაზრდა კოლექტივი კარგ წარმატებებს აღწევს. გასული წლის ექვს თვეში სანაოსნომ სახელმწიფოს მისცა ორ მილიონ მანეთზე მეტი ვოგება. მიმდინარე წლის ხუთი თვის საკაბოტაჟო ტვირთზიდვის პროგრამა შესრულებულია 107,2 პროცენტით, ხოლო საზღვარგარეთ ტვირთზიდვისა — 122,1 პროცენტით. ტანკერ „კიროვის“ ეკიპაჟმა, რომლის კაპიტანი **რ. ჯიბლაძეა**, პირველ კვარტალში მეორე ადგილი დაიკავა სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში. შრომაში მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს აგრეთვე ტანკერ „პლაგირის“ ეკიპაჟი კაპიტან **ი. ჯინჭარაძის** ხელმძღვანელობით.

იზრდება აგრეთვე გემების რიცხვი, მათი ტონაჟი. მაგალითად, თუ მიმდინარე წლის პირველი იანვრისათვის გვქონდა 86 ათასი ტონა ტონაჟის 13 ტანკერი, ახლა სანაოსნოს განკარგულებაშია ბევრად მეტი ტანკერი.

წლის დამლევისათვის შავ ზღვაზე ნავთობპროდუქტების მთელ საკაბოტაჟო გადაზიდვას განახორციელებენ მხოლოდ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემები. ჩვენი ტანკერები ნავთობპროდუქტებს მიიტანენ მსოფლიოს 30 ქვეყანაში.

უახლოეს ორ-სამ წელიწადში დასახულია დიდი კაპიტალური მშენებლობა. საექსპლოატაციოდ გადაეცემა დაახლოებით 20 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, 240-ადგილიანი საბავშვო ბაღები და ბაგები, შენობა ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატისათვის. წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა რამდენიმე ათასი კვადრატული მეტრი საბაწყობო შენობები.

ჩვენთვის № 1 პრობლემაა საკუთარი გემშესაკეთებელი ბაზის შექმნა, მეორე საარსებო ამოცანაა ნავსადგურების მოდერნიზაცია. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ უახლოეს დროში ეს პრობლემები წარმატებით გადაიჭრება. ახლა მუშავდება სანაოსნოს განვითარების პერსპექტიული გეგმა უახლოესი ხუთწლედისათვის.

მაღაროელთა ცენტრი

ლამაზია ჰიათურის პანორამა. იარუსებად მიდის მთებში ქუჩები. დაჰქრიან საჰაერო-საბაგირო გზების ვაგონეტები, ქალაქში ბევრი ახალშენებაა. ამასწინათ აქ გაჩნდა სტადიონი ათი ათასი მაყურებლისათვის. კულტურის სასახლე, რომელიც მშრომელთა დასვენების ერთ-ერთი საყვარელი ადგილი გახდა.

ძნელია ყველაფრის ჩამოთვლა, რაც ჰიათურაში გაკეთდა უკანასკნელ წლებში. მაღაროელთა ქალაქში აშენდა ახალი საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საბავშვო ბაღები და ბაგები, მაღაზიები. მდინარე ყვირილაზე, რომელიც ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს, აშენდა ხიდი-კაშხალი. მდინარის დონემ აიწია რამდენიმე მეტრით და ახალგაზრდობას შესაძლებლობა მიეცა ჩაებას წყალსომარდობაში.

ქალაქის ძველი კუთხეები რეკონსტრუირებულია. ერთერთ მთგანში აგებულია საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობები, კინოთეატრი, ცენტრალური ქუჩის არქიტექტურულ ანსამბლს ამშვენებს პიონერთა სასახლე, უნივერმაღი, სავადმყოფო, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი.

ახლა ჰიათურაში დაუსწრებლად იძენს განათლებას ყოველი მეხუთე მაღაროელი. მაგრამ სწავლის მსურველები გაცილებით მეტია. ახალგაზრდების განკარგულებაშია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალის ახლახან აშენებული შენობა.

დარკვეთი, მღვიმე-ხრამი, მერევი მაღაროებია, რომელთა ექსპლოატაცია დაიწყო უკანასკნელ ხუთ წელიწადში. თითოეული მათგანი იძლევა ორ-სამჯერ მეტ მანგანუმს, ვიდრე რომელიმე სხვა ძველი მაღარო. მანგანუმის გადასამუშავებლად აშენდა ცენტრალური დასაყვანი და ორი გამამდიდრებელი ფაბრიკები, სადაც ყველა პროცესი ავტომატიზებულია.

მჩქეფარე და შინაარსიანია მაღაროელთა ცხოვრება.

შენდება „მესაზღვრე“

„მესაზღვრე“ — ასე უწოდეს საქართველოს საქალაქო მშენებლობის საპროექტო ინსტიტუტში შემუშავებულ **დასასვენებელი სახლის კომპლექსს,** რომლის მშენებლობა დაიწყო გაგრაში. მასში შევა ორი სამსართულიანი კორპუსი 214 ადგილით, კლუბი-სასადილო. შენობათა სახურავებზე მოთავსდება არარიუმები და სოლარიუმები. დასასვენებელი სახლის ტერიტორიის ახლოს იქნება პლაჟი შხაპებით, გადასახედი შენობებით, ელინგით. სანატორიუმის ტერიტორიას დაამშვენებს აუზი, ყვავილნარი.

საკურორტო კომპლექსის მშენებლობაზე იყენებენ თანამედროვე მასალებს.



თბილისი დღეს. სანაპიროსა და ახალი სახლების ხიდი ხეთაგუროვის ქუჩაზე.

ᲒᲐᲮᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ

ᲒᲐᲜᲫᲔᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲜᲘᲡ, ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ᲔᲙᲐᲗᲘᲛᲔ ᲗᲐᲧᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ **ᲔᲙᲐᲗᲘᲛᲔ ᲗᲐᲧᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** ᲔᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲧᲕᲘᲚᲘᲡ „**ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ**“ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ „**ᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘ**“. ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲔᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲝᲛᲘ ᲝᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘ ᲫᲕᲔᲚ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐᲖᲔ, ᲛᲔᲝᲠᲔᲖᲔ — ᲐᲕᲢᲝᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ.

ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐᲡ ᲒᲕᲐᲪᲓᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔᲝᲓᲔᲜᲘ ᲨᲔᲛᲝᲙᲚᲔᲒᲘᲗ.

□

1921 **ᲬᲔᲚᲡ**, მენშევიკური მთავრობის ემიგრაციის წინ, განძეულობა ჩატანილ იქნა ბათუმში. ძალიან იმედი გვქონდა, რომ არ გახდებოდა საჭირო მისი წაღება საზღვარგარეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და ყოფილმა მთავრობამ გადაწყვიტა, თან გაეყოლებინა განძეული. დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც მაშინ იკრიბებოდა ბათუმში, მე დამანიშნა განძეულის მეთვალყურედ...

... მანამ მარსელში მივიდოდით, კაპიტანმა გაუგზავნა ჰაეროვანი ტელეგრამა მარსელის მთავრობას, რომ დაეხვედრებინათ სამხედრო მცველები განძეულობის მარსელის ბანკში გადასატანად. მთავრობამ ამ საქმეში დიდი სიფრთხილე გამოიჩინა და გამოიწვია სენეგალის პოლკი, რომელიც საფრანგეთის ხელისუფლების მიერ მიჩნეული იყო ყველაზე უპატიოსნეს სამხედრო ერთეულად ისე, რომ ისინიც თავიანთი ქონების სადმე გადატანისას მხოლოდ იმ პოლკს ენდობოდნენ. ჩვენი ნივთებიც სენეგალის პოლკმა ალყაშემორტყმით გადაიტანა გემიდან მარსელის ბანკში.

ამის შემდეგ დაიწყო კომისიამ მუშაობა, რამაც ერთ თვეს გაჰკანა. სამუზეუმო ნივთები მოვათავსეთ 39 ყუთში და ხელწერილით მივაბარეთ მარსელის ბანკს.

სამუზეუმო ქონების შენახვის სასყიდლად მარსელის ბანკმა წელიწადში 2.500 ფრანკი მოითხოვა. მას მერმე ის ნივთები ხელუხლებლად ინახებოდა იმ ბანკში, სანამ საფრანგეთის მთავრობამ არ გააუქმა მენშევიკების ლეგაცია.

ჩვენს განძეულობას საფრანგეთში ბევრი მტერ-მოყვარე და ცილისმწამებელი აღმოუჩნდა. მოყვრებად მოჰქონდათ თავი მყიდველებს, რომელთაც უნდოდათ ცალკეული იშვიათი ნივთების შეძენა.

პირველ ყოვლისა მოვიდა ნიუ-იორკის ხელოვნების მუზეუმის დირექტორი და დაუწყო მოლაპარაკება მენშევიკებს, რომ მიეყიდათ მათთვის მინანქრიანი ხატები და მედალიონები. ჩვენებურ მინანქართა ერთი დიდი კოლექცია იმ მუზეუმს ადრე ჰქონდა შეძენილი ზვენიგოროდსკისაგან, რომელიც ალექსანდრე მესამის დიდი მოხელე იყო. ერთ დროს ვინმე საბინ-გუსმა ეგზარხოსის ნებართვით მოიპოვა უფლება განეახლებინა ძველი შემკულობა საქართველოს ეკლესიათა ხატებზე. მან ბოროტად გამოიყენა ეს უფლება, მოხსპო ბევრი ძველი ხატი და მათი მინანქრიანი მედალიონები კი მიჰყიდა კოლექციონერ ზვენიგოროდსკის. როგორც ცნობილია, მინანქრის ხელოვნება დიდად იყო საქართველოში გავრცელებული და ჩვენებურ ხატებზე ხშირად ეკრა მედალიონები, ბიზანტიურიცა და ქართულიც. თუმცა იციან მინანქრიანი ხატებისა და სხვა საეკლესიო ნივთების დამზადების რეცეპტი, მაინც ვერავინ ახერხებს ამ ხელობის აღდგენას. ზვენიგოროდსკიმ ჩვენ მინანქრებში ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ მუზეუმისაგან“ მიიღო 200.000 მანეთი, რაც იმ დროისათვის ერთობ დიდი ფული იყო. ახლა კი მუზეუმმა და მისმა დირექტორმა მოინდომეს ქართული მინანქრების კოლექციის უფრო მეტად შევსება.

დირექტორმა ჯერ ჰკითხა ყოფილ მთავრობის თავმჯდომარეს, რით ცხოვრობთო? თავმჯდომარემ უპასუხა, გვყავს მოყვრები, მაგრამ, რასაკვირველია, ეს არა კმარა და ხელმოკლედა ვართო. მაშინ დირექტორმა უთხრა, მაგ მდგომარეობას შეგიმსუბუქებთ, თუ მინანქრების განძეულს მოგვყიდითო. ეს რომ ჩემ ყურამდის მოვიდა, განვუცხადე თავმჯდომარესაც და ნიუ-იორკის მუზეუმის დირექტორსაც, რომ გაყიდვაზე საუბარი ყოვლად შეუძლებელია. ბევრი წუწუნისა და ლაპარაკის შემდეგ მუზეუმის დირექტორმა ასეთი წინადადება მისცა ემიგრაციის ხელმძღვანელობას: მოგვცეთ პირობა, რომ ამ ნივთებს არ გაჰყიდით და თუ დააპირებთ, ისევ ჩვენ მოგვყიდით, რა თქმა უნდა, შესაფერ ფასად, ხოლო ამ პირობის ძალით კარგა დიდ თანხას გავესხებოთო. იმათ თქმა მოეწონათ ეს წინადადება და მზად იყვნენ პირობის მისაცემად. მე, რასაკვირველია, უარი ვთქვი: რა პირობა უნდა მოგცეთ? ნუთუ ის, რომ ჩვენ კრიმინალურ საქციელს არ ჩავიდენთ და სხვის მიერ დასაცავად მობარებულ ნივთებს არ გავყიდით მეთქი? ყველა პატიოსან კაცს მოეთხოვება ელემენტარული სინდისიერება, რომ მობარებული ნივთი ხელუხლებლად შეინახოს მეთქი! ვალის აღება ადვილია და დადხდა კი ძნელი მეთქი! ვინც მაგისთანა პირობას გთხოვთ, მან კარგად იცის, რომ თქვენ ვალის გადახდა არ შეგეძლებათ და, ბოლოს და ბოლოს, იმ ვალს არ შეგარჩენენ მეთქი!

რაკი მე ხელი არ მოვუწერე იმ პირობაზე, ეს კომბინაცია, რა თქმა უნდა, ჩაიშალა.

შემდეგ ბრიტანეთის მუზეუმმა დაუწყო მოლაპარაკება ყოფილ მთავრობას, რომ ქსნის (ახალგორის) იმ განძიდან, რომელიც ჩემ მიერ იყო შეკრებილი და მუზეუმისათვის შეძენილი. ერთი რომელიმე საუკეთესო ნივთი დაეთმოთ მისთვის. სამაგიეროდ პირდებოდნენ, მთელი ჩვენი განძეულობა უსასყიდლოდ შეენახათ თავიანთთან და მისი ალბომები გამოეცათ. საამისოდ (ინგლისელი ისტორიკოსი ქართველმოცოდნე) ალენი მოუგზავნეს და შუაკაცად ერთი ემიგრანტი პროფესორი აირჩიეს. უკანასკნელი, რა თქმა უნდა, ამ წინადადებით პირველად ჩემთან მოვიდა და ყველაფერი გამომიცხადა. ის თითქოს თანახმა იყო იმ კომბინაციისა, მაგრამ მე უარი ვუთხარი, ნივთები მუზეუმის კუთვნილებაო ითვლება მეთქი. ამრიგად, ვკლავ მოისპო ნივთების გაყიდვისა თუ დათმობის საკითხი.

როგორც ვხედავთ, არ შეეფერებოდა სიმართლეს აქაური პრესაში ერთ ხანს გამოსული ხმა, თითქოს მენშევიკებმა აიძულეს ე. თაყაიშვილი, განძეულის უფითები გაეხსნა და ნივთები გაეყიდნო. ის ვერც მათ და ვერც სხვამ ვერ მოახერხეს.

ᲩᲕᲔᲜᲡ განძეულობას საფრანგეთშიც აღმოუჩნდა მტერი. იმ დროს, იქ ცხოვრობდა გრაფ ობოლენსკის ქვრივი, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ნიკო დადიანის ასული (სალომე). მან მოგვთხოვა დაგვებრუნებინა მისთვის სამეგრელოს მთავრის ოჯახიდან წამოღებული ნივთები. უნდა მოგახსენოთ, რომ მენშევიკურმა მთავრობამ გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალითაც სამეგრელოს მთავრის მთელი ქონება სახელმწიფოს კუთვნილებად გამოცხადა. ჩვენც, რა თქმა უნდა, უარით ვუპასუხეთ ობოლენსკის ქვრივს. მან სასამართლოს მიმართა და დაიწყო პროცესი, რომელიც 7 წელიწადს გაგრძელდა.

...კომბინატორებმა დიდი ფული დახარჯეს ობოლენსკის ქვრივის დასახმარებლად — იმ იმედით, რომ პროცესს მოიგებდნენ და ერთი ათად მეტ თანხას მიიღებდნენ. ერთი მათგანი სიკვდილითაც კი დემუქრებოდა. პროცესი რომ საბოლოოდ წაგო, ობოლენსკის ქვრივმა გერმანიას მიაშურა და მისი დამქაში კომბინატორები ხელცარიელი დარჩნენ.

ეს პროცესი მაშინ გათავდა, როდესაც მენშევიკების მთავრობა საფრანგეთის ხელისუფლების მიერ უკვე უარყოფილი იყო. ამიტომ სასამართლომ ობოლენსკის ქვრივს კი უთხრა უარი, მაგრამ თან დაადგინა: მენშევიკების მთავრობა რაკი აღარ არსებობს, საქართველოს განძეულობა უპატრონოდ გამოცხადდეს და შესანახად გადაეცეს მოსიე დოუონსო. იმ დოუონს უკვე ებარა მეფის რუსეთის მიერ საფრანგეთში დატოვებული ქონება.

რაკი მენშევიკური მთავრობა გაუქმებულად გამოცხადდა და მას განძეულის პატრონობაც ჩამოერთვა, განვუცხადე მის ყოფილ ხელმძღვანელებს, ამიერიდან მე გამოვდივარ მეთქი საფრანგეთის მთავრობის წინაშე, როგორც განძეულის მცველი და შენახვის მეთვალყურე.

ამის შემდეგ შევადგინე მოხსენება საფრანგეთის მთავრობისადმი, რომელშიც ვწერდი: ის სამუზეუმო განძეული, რომელიც სასამართლომ დოუონს ჩააბარა, არ ეკუთვნოდა არც საქართველოს მთავრობას და არც მით უმეტეს, რუსეთის ყოფილ მთავრობას; იგი შეადგენს ისეთ კერძო დაწესებულებათა კუთვნილებას, როგორიც იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და მისი მუზეუმი, ჩემ მიერ დაარსებული „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“, საქართველოს სამღვდელოების „საეკლესიო მუზეუმი“ და კერძოდ დაარსებული მხატვართა საზოგადოება; ამ საზოგადოებებმა თავიანთი ქონება შესანახად და მოსავლელად მიაბარეს მთავრობას და ამიტომ იგი ამ უკანასკნელის სახელზე იყო შეტანილი მარსელის ბანკში, რადგან ეს მთავრობა ცნობილი იყო საფრანგეთის მთავრობის მიერ, როგორც დამოუკიდებელი ანუ თვითმპყრობელი სახელმწიფოს მთავრობა; ახლა რაკი იმ მთავრობას აღარ სცნობენ, განძეულიც უნდა დაუბრუნდეს თავთავიანთ მუზეუმებს.

საფრანგეთის მთავრობამ ამ ჩემ განცხადებაზე პასუხი არ მომცა.

ჩემი მოხსენების პირი გამოვუგზავნე საქართველოში ვუკოლ ბერიძეს (იმჟამად მეცნიერების მთავარი სამმართველოს უფროსს), რათა გადაეცა რესპუბლიკის მთავრობისათვის, ხოლო ამ უკანასკნელს მოეცნობებინა პარიზში სათანადო დეპუტაცია და საბუთები, რომლებშიც აღნიშნული იქნებოდა, თუ რა დაწუებულებას რა ნივთები ეკუთვნოდა, აგრეთვე იმ დაწესებულებათა წესდებანი და კატალოგები. დეპუტაციას უნდა მოეთხოვა საფრანგეთის მთავრობისათვის განძეულის დაბრუნება. იგი უნდა შემდგარიყო ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორთაგან. მაგრამ საქართველოდან ასეთი დეპუტაციის მაგიერ გამოგზავნეს (დიპლომატი) **ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲙᲕᲘᲢᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ** — კარგი კაცი, ოღონდ განძეულის საქმეში ნაკლებ ჩახედული. ამ უკანასკნელზე ზრუნვა მიანდეს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს საფრანგეთში **ᲞᲝᲢᲝᲛᲙᲘᲜᲡᲐ** და იმავე კვიტაიშვილს. პოტიომკინმა გამომიგზავნა თავისი მდივანი და მთხოვა გამეცნო მათთვის და კვიტაიშვილისათვის საქმის ვითარება.

მეც ჩავედი ლევილიდან პარიზში და შევუდექი მუშაობას. გადავეცი ჩემი რაპორტები ანუ მოხსენებანი საფრანგეთის მთავრობისადმი და სხვა მასალები. ჩვენი მუშაობა გაგრძელდა თითქმის ერთ თვეს, მაგრამ ამაოდ კი ჩაიარა: პოტიომკინმა მაცნობა, სამწუხაროდ, ჯერ არაფერი გამოდისო.

ამის შემდეგ ვაპირებდი საჩივრის აღძრას სასამართლოში, მაგრამ ამასობაში საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე გახდა სოციალისტი **ᲚᲔᲝᲜ ᲑᲚᲘᲣᲛᲘ**, რომელიც დიდად დაახლოებული იყო მენშევიკების მთავრობასთან — შეხვედრისას ერთიმეორეს კოცნიდნენ ხოლმე. ამიტომ იმედი მომეცა, ეგება მან მაინც დაგვიბრუნოს განძეული მეთქი. მასაც გავუგზავნე ჩემი რაპორტი და პირადად მოსალაპარაკებლად ვაახლე **ᲡᲘᲛᲝᲜ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ**, რომელიც მენშევიკების მიერ თურქეთში იყო ელჩად გაგზავნილი. ბლიუმმა თქმით კი უთხრა, განვიხილავთ მაგ საქმესო, მაგრამ არც არა განუხილავს რა და არც პასუხი გაუცია ჩემთვის.

ᲛᲔᲠᲔ დაიწყო (მეორე) მსოფლიო ომი და ფაშისტურმა გერმანიამ საფრანგეთი დაიპყრო...

...ნაცისტებს ბერლინში ზოგიერთი ქართველი მიმხრობოდა და ჰიტლერის თაყვანისმცემელი გამხდარიყო. ისინი დაუფიქრებლად დარწმუნებული იყვნენ, ჰიტლერი საქართველოს თავისუფლებას მიანიჭებსო... მათ დაჰკერეს და გერმანიაში წაიყვანეს პროფ. ზ. ავალიშვილი, რომელიც იქ უდროოდ დაიღუპა კიდევაც (ქალაქის დაბომბვისას) და მასთან ერთად დაგვეკარგა აუარებელი ისტორიული მასალა საქართველოს შესახებ, რომელიც ავალიშვილს ჰქონდა შეგროვილი.

ჰიტლერისადმი ბრძად მიმხრობილი ქართველი ემიგრანტები აღარ ითვალისწინებდნენ, რომ ის კაცობრიობის რუსეთის დამარცხების შემთხვევაში არც საქართველოს დააყრიდა კარგ დღეს. რატომღაც ეგონათ, მცირე ავტონომიას მოგვცემსო. მენშევიკების დროს ჩვენში გერმანიის ელჩად ნამყოფი დიპლომატიც ვითომ ცდილობდა ამის შთაგონებას „ფიურერისათვის“, ქართველები ძველი კულტურის არიან და ავტონომიის ღირსნი არიანო, მაგრამ ჰიტლერი ამას აინუნშიც არ აგდებდა. და აი, გასაოცარი ამბავი კი იყო, მაგრამ ბერლინელი ქართველები ზოგნი მაინც დაუფიქრებლად მისდევდნენ ჰიტლერს.

გერმანიაში გადასვლაზე გადაჭრილი უარი ვუთხარი: მე აქ ქართულ მუზეუმთა განძეულობის მეთვალყურედა ვარ გამოგზავნილი და აქვე უნდა დავრჩე, სანამ მას არ მივიღებ მეთქი. ამან მეორე საშიშროება წარმოშვა: ბოლოსდა ბოლოს, გერმანელებმა მოინდომეს განძეულობის მოთხოვნა საფრანგეთის მთავრობისაგან და ბერლინში გადატანა და კიდევაც დაიწყეს მოლაპარაკება. ამ გასაჭირში დავიხმარე ერთი დიდი საქმოსანი, ქართველი გ. ბ., რომელსაც

(დასასრული მე-6 გვ.).

მღერის რევაზ გორგიძე



თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **რევაზ გორგიძე** ქუთაისში დაიბადა. ქუთაისში ქვაც კი მღერისო, და რეზოს სიმღერის სიყვარულს წინ რა დაუდგებოდა! სიმღერის სიყვარულს ხელი არ შეუშლია მისთვის მოხდენილი მოცეკვავეც ყოფილიყო. დაუდეგარი, ენერგიული ყმაწვილი სპორტსაც დაეწაფა. იგი კრივმა გაიტაცა. სულ მალე ქალაქის ჩემპიონი გახდა, რასაც რესპუბლიკის ჩემპიონობაც მოჰყვა. რინგზე გამარჯვების სიხარულმა, გულშემატკივართა აღტაცებულმა შეძახილებმა და თაყვანისცემამ მასში სიმღერის სიყვარული როდი ჩაკლა. პირიქით! მშვენიერი, ტანადი, მოქნილი ვაჟკაცი, რომელსაც გული სიმღერის ტრფობით ჰქონდა ავსებული, თითქოს სცენისთვის იყო გაჩენილი. საჭირო იყო პროფესიულ-ვოკალური ტექნიკის დაუფლება, და რეზო ქუთაისის მუსიკალურ სასწავლებელში იწყებს სწავლას თ. მუმლაძის კლასში. საოცრად შეუზღუდავი დიაპაზონის ხმა ჰქონდა ახალგაზრდა მომღერალს. დაბლა იგი ბარიტონისათვის დამახასიათებელი კომპაქტურობით ხასიათდებოდა, მაღლა კი თავისუფლად ნავარდობდა ტენორის რეგისტრში. პედაგოგმა იგი აიყვანა როგორც ბარიტონი.

მალე ქუთაისში ადგილობრივი ძალებით დაიდგა „დაისი“. რ. გორგიძემ მასში კიაზოს პარტია შეასრულა. გაზეთი **„ქუთაისი“** წერდა: „რ. გორგიძე (კიაზო) მფლობელია ლამაზი, მძლავრი ბარიტონისა. მის ხმას ახასიათებს მეტალისებური ტემბრი. მღერის და თამაშობს ემოციურად. მის თამაშს ხელს უწყობს მშვენიერი გარეგნობა და სცენური მოქნილობა“.

უკვე თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის სტუდენტი რ. გორგიძე კუპატნელის პარტიას ასრულებს ბუკიას ოპერა „არსენაში“. ისევ ბარიტონის (პარტია). მაგრამ მომღერალი გრძნობს, რომ მისი სასიმღერო აპარატი მეტ თავისუფლებას გრძნობს მაღალ რეგისტრში, ვიდრე ეს ბარიტონს ესაჭიროება. ხმა ზევით მიიწევს. ბარიტონი თუ ტენორი? ეს მეტად სახიფათო და სარისკო ნაბიჯი იყო. საჭირო იყო დიდი გამოცდილებისა და რწმენის ადამიანის მხარდაჭერა. და აი საოპერო თეატრის მშინდელმა დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა, ცნობილმა ქართველმა მომღერალმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა **დ. მჭედლიძემ** ირწმუნა გორგიძის ტენორი და გამარჯვებაში დარწმუნებულმა უკვე საოპერო თეატრის სოლისტს რევაზ გორგიძეს რადამესის პარტია მიანდო შესასრულებლად. რადამესით დაიწყო ნამდვილი შემოქმედებითი კარიერა. რადამესს მოჰყვა **კავარადოსი („ტოსკა“), კანიო** („პაძბაზები“), **მანრიკო** („ტრუბადური“). **არსაკიძე** („დიდოსტატის მარჯვენა“), **სემიონ კოტკო** („სემიონ კოტკო“). **ტარიელი** („ამბავი ტარიელისა“).

გორგიძისათვის, როგორც დრამატული ტენორისათვის, მახლობელია ისეთი პარტიები, რომლებიც ადამიანთა დიდ სულიერ მღელვარებას გადმოგვცემენ, აღსავსენი არიან კონფლიქტებითა და ძლიერი დინამიზმით. საუთარი თავისადმი მომთხოვნელობა, შრომისმოყვარეობა და, რაც მთავარია, კარგი ვოკალური და სცენური მონაცემები ხელს უწყობენ მას დამაჯერებლად გადმოგვცეს თავისი გმირების შინაგანი სამყარო.

ს. გორგიძე როგორც მსახიობისა და მომღერლის ღირსების დადასტურებაა ისიც, რომ ნოვოსიბირსკის ოპერისა და ბალეტის თეატრის ხელმძღვანელობამ იგი მთელი სეზონით მიიწვია თავის თეატრში. აქ მან პირველად შეასრულა დონ ხოზესა და ოტელოს ურთულესი პარტიები. მრავალრიცხოვანმა რეცენზიებმა ერთხმად აღნიშნეს მომღერლის წარმატება. მისი ლამაზი ტემბრის მძლავრი დრამატული ტენორი სცენური უშუალობითა და გულწრფელობით ხიბლავს მსმენელს. ამიტომ გასაკვირველი როდია, რომ ასეთი წარმატება ხვდა მის რადამესს დიდი თეატრის სცენაზე. აღრეც არაერთხელ წეხვედრიან მხურვალედ მის საგასტროლო სპექტაკლებს ბაქოსა და ერევანში.

მაგრამ რ. გორგიძე მიღწეულს როდი სჯერდება. იგი სულ ახალ-ახალ ნიუანსებს ეძებს თავისი ვმირებისათვის. მგზნებარე დრამატიზმით აღსავსე მომღერალი ცდილობს რომანტიკულ სინატიფესა და დახვეწილ ფრაზირებას მიაღწიოს. თავისი პედაგოგის დ. მჭედლიძის მუდმივი კონტროლით იგი დაუღალავად ძერწავს თავისი გმირების მუსიკალურ-სცენურ სახეებს. ამჟამად იგი ჩაიკოვსკის ოპერა „პიკის ქალში“ გერმანის პარტიაზე მუშაობს.

ნ. სვანიშვილი.

ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲓᲐᲜ

ქალაქში ფოლაკიშვილი-სარაჯიშვილი

ბორჯომში 1880 წლის 10 სექტემბერს დიდი ჭორწილი გაიმართა. ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი, ქართული კონიაკის წარმოების პიონერი, ქიმიურ და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილი ჯვარს იწერდა ეკატერინე ივანეს ასულ ფორაქიშვილზე.

ეკატერინე ფორაქიშვილი დაიბადა 1862 წლის 27 იანვარს თბილისში. მამამისი, **ივანე ადამის-ძე ფორაქიშვილი,** შეძლებული თბილისელი მოქალაქე, განთქმული იყო თავისი გონებამახვილობით. დედა, ნატალია იოსების ასული წილოსანი, შესანიშნავ მანდილოსნად ითვლებოდა.

პატარა კატომ ოჯახში, სპეციალურად მიჩნეული აღმზრდელებისაგან, კარგი განათლება მიიღო. იგი ჯერ ფაგრის ცნობილ პანსიონში სწავლობდა, შემდეგ საგანგებოდ მოწვეული მასწავლებლები ამეცადინებდნენ. მას აღმზრდელად ჰყავდა ინგლისელი ქალი მისს პოპკინი. ეკატერინეს სულიერ ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა მისმა მამიდამ **ნატო** სულხანიშვილმა, რომელმაც კარგად იცოდა ძველი ქართული ოჯახის ადათ-წესები და მათი მტკიცე დამცველი იყო.

ეკატერინემ ზედმიწევნით კარგად შეისწავლა როგორც მშობლიური ენა, ასევე რუსული, ინგლისური, ფრანგული და გერმანული. იგი იყო არა მარტო ფრიად განათლებული, არამედ მეტად ზრდილი და ბუნებით მაღალგონიერი, სათნო, ოჯახის დიდი მზრუნველი, შრომისმოყვარე, მუყაითი და ლმობიერი, მარად კეთილისმყოფელი, ღარიბთა გამკითხავი, ქართული კულტურის დიდი მოამაგე.

მამულიშვილობა და მოქალაქეობა, აი, რა იდეას ემსახურებოდნენ მთელი სიცოცხლის მანძილზე ეს შესანიშნავი მეუღლენი. „უძეონი იყვნენ, მაგრამ ვინ მოსთვლის, რამდენი სასარგებლო ნიჭიერი წევრი აღუზარდეს სამშობლო ქვეყანას და მათგან დანატოვარი კიდევ რამდენ ასს სასარგებლო კაცს გაზრდის“, წერდა „თეატრი და ცხოვრება“.

სარაჯიშვილების სახლი მდებარეობდა სერგიევის, ამჟამად მაჩაბლის ქუჩაზე, სადაც დღეს მწერალთა კავშირია მოთავსებული. ეს ბინა გადაეცა ლიტერატურულ სალონს, სადაც სისტემატურად იკრიბებენ თავს ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. აქ წაიკითხა პირველად ილია ჭავჭავაძემ თავისი „განდგილი“ და „თორაბანთ ქვრივი“. 1905 წლის 3 აპრილს, როდესაც დიდი ცერემონიალით გაიხსნა ეს სასახლე, აჯაჯი წერეთელმა ექსპრომტად ლექსიც წაუკითხა შესანიშნავ ქოლ-ქმარს:

განგებამ მოგცათ სუყველაფერი!
ნუ სწუხართ იმას, რომ
ხართ უშვილო,
ნუთუ არ ქმარა შვილად
და ძირად
თქვენთვის სამშობლო
და საქართველო!

უფრო ადრე კი ილიამ ეკატერინეს წარწერით თავისი პორტრეტი მიართვა:

ამ ლექსს გიწერ ჩემს
სახსოვრად,
შიგ გაგიხვევ მე ჩემს
გულსა,
საც ვინახავ, ვით
მარგალიტს,
შენსა დაძმურ
სიყვარულსა.

ეკატერინე არ ჩამოუვარდებოდა თავის მეუღლეს ქვრივ-ობოლთა შემწეობის საქმეში. დავით სარაჯიშვილის სტიპენდიანტები იყვნენ ქართველი ხალხის სამამყო შვილები: ვანო სარაჯიშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ია ქარგარეთელი, მოსე თოიძე, კოტე ფოცხვერაშვილი, იაკობ ნიკოლაძე და მრავალი სხვა.

ეკატერინეც ასევე ნიჭიერი ახალგაზრდების მფარველი და იმედი იყო. მოსე თოიძის მეუღლის — ეკატერინეს ცნობით „მისი ერთმოსახელე მოსკოვში სტიპენდიას არ აკლებდა 5-6 ქართველ ქალს“. მან თავისი ხარჯით პანსიონში სასწავლებლად მიაბარა ივანე მაჩაბლის ობლად დატოვებული ვაჟი — ნიკო.

როდესაც დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილი გარდაიცვალა (1911 წ. 20 ივნისი), მთელი მისი საქმიანობა, როგორც მეუნრეობის გაძღოლა (მათ ჰქონდათ კონიაკის, ლიქიორისა და არყის საწარმოები თავისი სავაჭრო

(დასასრული მე-6 გვ.).



სურათზე: დ. სარაჯიშვილი და მისი მეუღლე ეკ. ფორაქიშვილი.

თამარ დრაგაძის რომანი

ამ რამდენიმე ხნის წინ ლონდონის გამომცემლობა „ჩატო ენდ უინდუსმა“ გამოსცა ახალგაზრდა მწერლის თამარ დრაგაძის პირველი რომანი — „ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით“.


თვრამეტი წლის აყო თამარი, როდესაც დაიწყო ამ ნაწარმოებზე მუშაობა, ოცი წლისამ კი დაასრულა იგი. ეს არის ქალწულის „უმანკოების, უბიწოების რომანი“, რომლის ფოსზედაც შესანიშნავად არის გადმოცემული თანამედროვე არაბი ხალხის სული და მისწრაფებანი.

თამარ დრაგაძის ცხოვრების თავისებურმა პირობებმა და გარემომ, გარკვეული როლი შეასრულა მის მწერლად ჩამოყალიბებაში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს რომანი სრულიადაც არ გახლავთ ავტობიოგრაფიული ხასიათისა.

თამარ დრაგაძე 1943 წელს დაიბადა უელსში. წარმოშობით იგი ქართველია, რაც, მისი ინგლისელი კოლეგების სიტყვით რომ ვთქვათ, „მემკვიდრეობად ატყვია მის ნარნარ ტანსა და მუქწაბლისფერ თმას“. იგი აღიზარდა ხელოვანთა ოჯახში, ერთი ძმა — საყოველთაოდ ცნობილი, მსოფლიოში სახელგანთქმული ბალეტის მოცეკვავეა, მეორე — ჟურნალების „ტაიმისა“ და „ლაიფის“ კორესპონდენტია იტალიაში. თვით თამარი რვიდან თერთმეტ წლამდე პარიზში ცხოვრობდა, შემდეგ კი, თვრამეტი წლის ასაკამდე — მაროკოში, სადაც ჩადიოდა ხოლმე დედასთან და მამინაცვალთან. სკოლა თექვსმეტი წლისამ დაამთავრა და რამდენიმე თვე დაჰყო ესპანეთსა და იტალიაში, სადაც შეისწავლა თეატრის ისტორია, ფერწერა და ენები. თამარი თავისუფლად ფლობს ექვს ენას. ამჟამად იგი ლონდონის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტია. ამავე დროს თამარი მეორე რომანზეც მუშაობს.

რომანში „ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით“ აღწერილია ცხრამეტი წლის ქალიშვილის არამინტას ცხოვრება, რომელიც ცდილობს „მიაგნოს საკუთარ „მეს“, იპოვოს თავისი თავი“, იგი ტანჯვაში სტუმრად ეწვევა თავის გათხოვილ დას, სადაც ხვდება სამშობლოდან წასულ ევროპელებს, ეცნობა მათს ცხოვრებას. წიგნი ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც არის საინტერესო. — აღწერილია ადგილობრივ მკვიდრთა ზეიმები, ჭორწილები, რელიგიური დღესასწაული — რამადანი და მრავალგვარი სასამართლო პროცესი. გარდა არამინტასი, რომანის მთავარი გმირია მაროკოელი ქალი ფატიმა, რომელიც ცხრა შვილის დედაა, ქმარი კი უმუშევარია. ფატიმას სასიხარულო თითქოსდა არაფერი აქვს, ყველა უბედურებასთან ერთად მისი უფროსი ქალიშვილი ქმარს გაეყარა, ვაჟიშვილი საზღვარგარეთ ეძებს ბედს, მაგრამ მოუხედავად ამისა, ეს მხნე ქალი არც თვითონ იმჩნევს სიდუხჭირეს და არც სხვას აწუხებს. იგი მხიარულად, ერთთავად მომავლის იმედით ცხოვრობს. ეს შესანიშნავი ქალი იმით განსხვავდება სხვებისაგან, რომ მან იცის: მხოლოდ ბავშვებს კი არა, ყოველი ასაკის ადამიანს უნდა ზრუნვა და თვალის მიდევნება „ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით“.

მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტ თარგმანს ამ რომანიდან.



•

„ბალღს ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით უნდა თვალის მიდევნება“.

არაბული ანდაზა.

არამინტა

ხანდახან ძნელია რაიმეს განსჯა, გარჩევა: მაგალითად, როცა მეკითხებიან, რატომ მქვია „არამინტა“. მე ვიცი, რომ ეს სახელი ოდნავ გრძელია და იქნებ რაღაც ეფექტსაც ახდენს. მაგრამ სულ არაობას მაინც ისა სჯობს, რაღაცა გერქვას. ოღონდ სახელი კი გერქვას, და როგორიც უნდა იყოს. ალბათ რა საშინელებაა საკუთარი სახელის დავიწყება. ალარ იცი რა ხარ, ვინა ხარ; ბოლოს და ბოლოს ყველაფერი მაინც სახელია.

ფატიმას გაუთავებლად შემიძლია ველაპარაკო. ალბათ იმიტომ, რომ იგი სხვანაირია. გარდა ამისა, დროდადრო მეჩვენება, რომ დედას წაველავს. შეიძლება ასეც იყოს, იმიტომ რომ მეც კი ბავშვად ვთვლი მერის, როცა უზომოდ დათვრება და შემდეგ მთელი ორი დღე ავად არის ხოლმე. ამ დროს ჩვეულებისამებრ მოჰპმედი მოდის და გვარიგებს: „თავქვეშ კიდევ ერთი ბალიში ამოუდეთ. ჩაი დაალევინეთ, უთხარით დაიძინოს“.

მაგრამ მჯონი უკეთესია, როცა ფატიმა ჩემს ოთახში შემოდის ხოლმე. ხანდახან ჩემი პატარაობის ამბავს მიყვება: როგორი გოგონა ვიყავი, რანაირად გამოვიყურებოდი, რას ვჭიკინებდი. ეს ჩემთვის ახალი რაღაცაა. მაშინ როგორც უკეთ მიმართ, ისე ჩამეღვრება გულში საკუთარი თავის მიმართ სინაზე, და ვგრძნობ, რომ მე და ფატიმას რაღაც საერთო საიდუმლო გვაქვს. მხოლოდ ჩვენ ორნი ვიცნობთ იმ გოგონას.

ფატიმა

ჩემი ქალბატონის და ავად არის და მთელი დღე ლოგინში წევს. დილით მივედი და ჩემს ნესრანიას[1] ვუთხარი: „დალა მშვიდობისა. როგორ ბრძანდებით, როგორ არიან თქვენი ბავშვები?“ მან მიპასუხა, ყველანი ჯანმრთელად და კარგად არიანო.

— თქვენი და როგორღა გრძნობს თავს?

ამაზე კი მან მომიგო: არამინტა დღეს შეუძლოდაო.

და მე გულზე სევდა შემომაწვა.

— ჩემი გოგო ზუბაიდაც ავადა მყავდა ამ ერთი კვირის წინ, — ვუთხარი მე, — ალბათ ეს ქალიშვილებს ემართებათ.

— ადით, ფატიმა, ჰკითხეთ, ხომ არაფერი უნდა, — მითხრა ჩემმა ქალბატონმა. მე ზემოთ ავედი და მისი დის ოთახის კარი შევაღე. საწოლს გადავხედე. იქ ქალიშვილი იწვა. იგი ჩემს ბავშვებთან თამაშობდა ხოლმე. მასთან ერთად მიცინია, მიმღერია, გულით გამიხარია.

— რა დაგემართა, ჩემო კარგო, გაიღვიძე, დააღწიე ძილს თავი, ო, არამინტა, — ვაჟიხმიანე იმიტომ, რომ მას ეძინა. თვალი რომ გაახილა და დამინახა, ისევ ვკითხე: — როგორა ხარ, რაიმე ხომ არ გაგიჭირდა?

— ოჰ, შენა ხარ, ფატიმა? — თქვა მან.

— დილა მშვიდობისა, როგორ გიკითხო?

მე მივუგე, რომ კარგად ვარ და იმანაც გაიმეორა, რომ კარგად არის.

— მაშ რაღა დაგემართა? — ვკითხე მე.

— არაფერი. ყველაფერი რიგზეა. მხოლოდ წუხელის რაღაც გული ამერია და მუცელი მტკივა.

შემდეგ იმას დააბრალა, ალბათ რამემ მაწყინაო. მე კი ვუთხარი, ქარმა დაკარა მეთქი.

— ჩემი საცოდავი გოგო! შეიძლება რაიმეს პირი დაკარო? წავალ, ჩაის მოგიტან, — ვუთხარი მე, დამთანხმდა და ლიმონიანი წყლის მოტანაც მთხოვა.

— იცოდე მიფრთხილდი! რომ არ გამოკეთდე, გაგიჯავრდები, დაგიყვირებ.

მას გაეცინა.

ოთახში რომ დავბრუნდი, ისევ ჩასძინებოდა და ხელმეორედ გავაღვიძე.

— ამდენი ძილი გაგონილა? მუცელი გტკივა, თავი ან გული ხომ არა, რომ ერთთავად გძინავს?

ახლა ორივეს გაგვიცინა.

ოთახში მისი დაც შემოვიდა და თავის ენაზე დაიწყეს ლაპარაკი. მე მივხვდი, რომ არამინტა არწმუნებდა თავის დას, არაფერი მიჭირს, ძალიან კარგად ვარო. მერე ძალიან გამიხარდა, რომ ჩაი და ლიმონიანი წყალი დალია. ნესრანია რომ არ ყოფილიყო, ნამდვილად ვიფიქრებდი, ავად არის-მეთქი. იმიტომ რომ, როცა ჩვენ ჭირი შეგვეყრება, გულალმა ვწევართ, მუცელი გვტკივა, ცარიელი წყლის გარდა პირში არაფრის მაშვება არ გვინდა.

ერთხელ ჩვენს მეზობელ ქალს კბილი ასტკივდა. სულ კედელს ურტყამდა თავს. მეზობელი ქალები წუთით არ ტოვებდნენ მარტოკას. მერე ქმრებსა სთხოვეს, დაეყოლიებინათ ავადმყოფის ქმარი, რომ ქალისთვის ექიმთან წასვლის ნება დაერთო. ექიმმა კი არ მოისურვა კბილის ამოგლეჯა. მხოლოდ რაღაც წამალი მისცა: თეთრ ბამბაზე დაასხი და კბილში ჩაიდეო. ბამბაც ექიმმა მისცა. ღვთის წყალობით, იმ ქალს კბილის ტკივილმა გაუარა.

ჩემი ნესრანიას და კი სულ იმას გაიძახის, კარგად ვარ, კარგადა ვარო. სახე კი მიტკალივით აქვს და უნდა თუ არა, ლოგინში უნდა იწვეს, იმიტომ რომ მთლად ღონემიხდილია. მე ვუთხარი: სამუშაოს რომ მოჯრები, ლოგინის თეთრეულს გამოგიცვლი, რადიოს ამოგიტან და ერთი კარგად ვიცინოთ-მეთქი. იმიტომ რომ არამინტა ჩემთვის თითო ბავშვივითაა. გული ყელში მებჯინება, იმას რომ ვხედავ. ჩემმა ქალბატონმა თქვა, ექიმი უნდა მოვიდესო. იმიტომ რომ როცა არამინტას სიცხის საზომი საათი ამოუღეს იღლიიდან, აღმოჩნდა რომ ციებ-ცხელება შეჰყროდა. ღმერთმა ისეთი ჭირი შეჰკაროს იმას, ვინც არამინტას თვალი ჰკრა, რომ სულ ცხვირ-პირი მოუჭამოს. ნამდვილად თვალი ეცა. ბოღმითა და შურით რომ აევსებათ ადამიანებს გული, მერე გათვალავენ ხოლმე ერთმანეთს. არამინტა სულ ნორჩია. კარგი თმები აქვს, მთელ ქვეყანას მასზე რჩება თვალი; ყველას უყვარს, იმიტომ რომ ქურციკივითაა და სულ მხიარულია. და აი, ვიღაც საბანას წყეულმა ასულმა თვალი ჰკრა. სიკვდილის შემდეგ ჯოჯოხეთშიც ამოუყივის თავი.

ექიმებს თავისი ადათ-წესები აქვთ. ჩემი ნესრანია ამბობს, ექიმი თავისი თუ ოჯახის წევრების სამკურნალოდ მეგობარ ექიმს უხმობსო, იმის მაგიერად, რომ თვითონვე უკურნოს თავის თავს. ოღონდ მეგობარი ამაში ფულს არ ართმევს. ერთი ექიმი ვიცი, ინგლისელების ჰოსპიტალში მსახურობს, თავისი საკუთარი კლინიკაცა აქვს და ამბობენ, ჰოსპიტალში მხოლოდ ღარიბ-ღატაკთა დასახმარებლად დაიარებაო. იმიტომ, რომ, როცა მოკვდება, უფლის წინაშე პირნათლად წარსდგეს. აი, ეს ექიმი მოვიდა. ხელში ძროხის ტყავის ძალიან შავი ჩანთა ეჭირა. ღმერთმანი, ძროხის ტყავისა იყო. ზევით ავიდა და ქალბატონის და გასინჯა. რაღაც გამოკითხა, შემდეგ კი დაწერა ქაღალდზე. ჩანთიდან წამლების ყუთი ამოიღო და არამინტას აჩუქა. შემდეგ ცოტა ხანს ლონდონში ჩაციებული ბოთლიდან, რომელიც ჩემმა ნესრანიამ მიართვა. ამ დროს ჩემი ქალბატონის ქმარიც მოვიდა. ლაპარაკობდენ, იცინოდნენ. როცა წავიდა, ნესრანიამ მითხრა, ხვალ ცოლთან ერთად გვეწვევა და ერთად ვისადილებთო. შემდეგ იყიდეს წამლები, რომლებიც ქაღალდზე ეწერა; ეს ასაკრეფი წამლები გამოდგა. მაშასადამე, ქალბატონის და ნამდვილად ავად არის. მე ჩქარა მოვითავე ჩემი საქმე და გავიფიქრე: „ჩემს ბავშვებს დღეს არაფერი უჭირთ. დავრჩები არამინტასთან და საღამომდე გავართობ, სიცილში გავატარებინებ დროს“. ავედი ზემოთ და არამინტას საწოლთან მივუჯექი. მეგონა, ჩათვლიმა. მაგრამ მერე შეგვამჩნიე, რომ არ ეძინა. ცოტახნის შემდეგ ლოგინზე წამოჯდა. მე ზურგსუკან ბალიში ჩავუდე და ვუთხარი — „ესეც შენ, ქურციკების დედოფალო“. მას გულით გაუხარდა. შემდეგ მოვუყევი, რომ მალე სოფლიდან ნათესავები ჩამოვლენ. ლეღვს, კამიდორს და ქლიავს ჩამოგვიტანენ. ჩემი შვილი ოდესმე ხომ დაამთავრებს სკოლას, დიპლომს მისცემენ და მაშინ კი გიყვარდეს — დასტა-დასტა ფულებს იშოვის. კიდევ ის ვუთხარი, რომ ჩქარა ჩემი ქალიშვილიც უნდა გავათხოვოთ... ისეთი სუფრა უნდა გავშალო, რომ მაგიდა სულ იზნიქებოდეს ხორაგისაგან. მუსიკოსებს მოვიყვანთ, უამრავ ხალხს დავპატიჟებთ. და, რა თქმა უნდა, ჩემი ნესრანიაც უნდა მეწვიოს მთელი თავისი ოჯახით. „ოჰ, არამინტა, შენ ქალწულებთან ერთად დაჯდები ჩემი ქალიშვილის გვერდით საწოლზე, ყველაზე საპატიო ადგილას. უნდა დაარიგო იგი, რომ არ აფორიაქდეს, დაისვენოს, არ შეეშინდეს“. არამინტას ძალიან უხაროდა ამის მოსმენა. იმიტომ რომ მე ისეთ სასიამოვნო ამბებზე ველაპარაკებოდი. რაც ადამიანის გულს ბედნიერებას ჰგვრის. შემდეგ რადიო ავიტანე და ჩავრთე. ეგვიპტური მუსიკა, რიფის

(დასასრული მე-7 გვ.).

1. არაბები ასე ეძახიან ყველა ევროპელს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

განძი ჩვენი, ქართული

(დასასრული)

დიდი გავლენა ჰქონდა. მან მე დამიჭირა მხარი და არ დაეთანხმა ზოგიერთ ემიგრანტს, რომლებიც განძეულობის გერმანიაში წაღებას საჭიროდ მიიჩნევდნენ. მევე მომემხრო ზემოხსენებული პროფესორი, რომელიც არწმუნებდა გერმანელებს, ეს განძეული მარტო საქართველოსათვის არის ღირებული, როგორც ისტორიული საბუთები, თორემ სხვებისთვის არაფერი სახარბიელოაო. ჩვენი ქონების მცველად ფრანგების მიერ გამოყოფილმა დოყონმა მითხრა შემდეგ, გ. ბ. რომ დათანხმებოდათ, გერმანელები უთუოდ გვაიძულებდნენ, მიგვეცა თქვენი განძეულობაო.

ამრიგად, როგორც იქნა, ეს განსაცდელიც ავაშორე თავიდან განძეულობას.

ᲐᲘᲡᲘ საქართველოში დაბრუნების საკითხი გადაწყვეტა საბჭოთა კავშირის უმაგალითო გამარჯვებამ მეორე მსოფლიო ომში, რის შედეგადაც გერმანელებმა მიატოვეს პარიზი და ფრანგებმაც სული მოითქვეს. ამ გამარჯვებამ დიდი სახელი გაუთქვა საბჭოთა სახელმწიფოს... საფრანგეთში, ფრანგები მასზე „ლოცულობდნენ“...

იმ დროს პარიზში ჩამოვიდა სსრკ ელჩი ᲑᲝᲒᲝᲛᲝᲚᲝᲕᲘ. მე მაშინვე ვაცნობე, რომ მისი ნახვა მინდა და ვთხოვე დაენიშნა ჩემთვის შეყრის დრო. მან თავისი მანქანა გამომიგზავნა, რაც პირველად მეუხერხულა კიდევაც. ჩემ წასაყვანად იმ მანქანით მოვიდა პოლკოვნიკი ვ. (ქართველი ემიგრანტი). მას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ გაგონილი მქონდა, რომ ისა და მისი მეუღლე მოხერხებული საქმოსნები იყვნენ. გზაში მითხრა, ბოგომოლოვს მე დავპირდი, რომ ევგენი გეგეჭკორსაც მივუყვანდი, მაგრამ გეგეჭკორისათვის ეს არც გამიმხელია, ვინაიდან კარგად ვიცი, ის საბჭოთა ელჩს ჯერ ვერ ინახულებსო. ამ განცხადებამ კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ პოლკოვნიკი სიყალბეს არ ერიდებოდა. მივედით ბოგომოლოვთან. მან დიდად თავაზიანად მიმიღო. განვუცხადე, რომ განძეულობის საქართველოში დაბრუნებაზე ვიყავი მისული. მან მითხრა, ჯერ ვისაუზმოთ და საქმეზე კი, გინდათ საუზმის დროს ვისაუბროთ, გინდათ შემდეგაო. მე საუზმობისას მოვახსენე ყველაფერი. მან მითხრა, მაგ საქმეში ჩახედული არა ვარო და რასაც მეტყვით, ყველაფერს აგისრულებთო. პოლკოვნიკი ვ. საუზმეზე გვერდით უჯდა ბოგომოლოვს. საუზმის ბოლოს ამოიღო უბიდან რაღაც დაწერილი და წაუკითხა. კარგად არ მესმოდა, რაში იყო საქმე, მაგრამ ერთს კი მივხვდი: ის თხოულობდა 50.000 ფრანკს, რომელიც ვითომც და დახარჯვოდა განძეულობის საქმეზე. ილჩმა ის დაწერილი გამოართვა და უბეში ჩაიდო.

ბოგომოლოვს. გარდა სიტყვიერი განცხადებისა, წერილობითაც წარუდგინე: ვთხოვდი, აღეძრა განძეულობის დაბრუნების საკითხი. იმ დროს საფრანგეთის მთავრობის სათავეში ახალი ჩამდგარი იყო გენერალი დე-გოლი და ის საკითხიც, რა თქმა უნდა, მას უნდა გადაეწყვიტა. ბოგომოლოვმა მითხრა, პირადად მე ვერ ავუხსნი დე-გოლს საქმის ვითარებას და ამიტომ კარგი იქნება, თუ მომცემთ ჯეროვან მოხსენებას, რომელშიც ყველაფერი განმარტებული იქნებაო. რა თქმა უნდა, დავწერე და გადავეცი ვრცელი მოხსენება დე-გოლის სახელზე. ბოგომოლოვმა იგი მამინ წარუდგინა, როდესაც ორივენი უნდა გამოფრენილიყვნენ მოსკოვს, საბჭოთა მთავრობასთან. ომი ჯერაც გრძელდებოდა და საფრანგეთის საბოლოო ხსნა და შველა დიდად იყო დამოკიდებული საბჭოთა კავშირზე. რასაკვირველია, დე-გოლს უარის თქმა არ შეეძლო და მანაც გასცა განკარგულება, რომ დაუყოვნებლივ დაგვბრუნებოდა განძეულობა. ამ საქმეზე ზრუნავა ბოგომოლოვმა მოგვანდო მე, კონსულს ᲒᲣᲖᲝᲕᲡᲘᲡᲐ და საელჩოს საქმის მწარმოებელს.

მეორე დღეს გუზოვსკი მივიდა დოყონთან, რომელსაც ებარა ჩვენი ნივთები და მოთხოვა დაბრუნება. დოყონი ამ მოთხოვნამ შეაშფოთა და მან გაცხადა, დე-გოლს ასეთი განკარგულების უფლება არა ჰქონდა. ეს საკითხი შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა გადაეწყვიტაო. გუზოვსკიმ უპასუხა: რა ნება აქვს მინისტრს თავმჯდომარის წინააღმდეგ წავიდეს, ის ხომ მას ექვემდებარებაო? თუ ხვალ გადაჭრილი პასუხი არ გაგიციათ ამის შესახებ, ტელეგრამას გავუგზავნი დე-გოლს, რომ თქვენ მის ბრძანებას არ ასრულებთო. ამის შემდეგ კი დოყონმა, რაღა თქმა უნდა, ჩაგვაბარა მთელი განძეულობა მე და გუზოვსკის... მელაძისა და კ. ნიჟარაძის თანდასწრებით. გუზოვსკიმ დიდი ენერგიითა და მუყაითობით იმუშავა ამ საქმეში.

უპირველეს ყოვლისა, თავიდან მოვიშორეთ საქმოსანი ვ. გამოირკვა, რომ იგი დიდ სიყალბეს სჩადიოდა: დაერწმუნებინა ბოგომოლოვი, რომ განძეულობის დაცვის საქმეს დაახარჯა, ადვოკატს მისცა 50.000 ფრანკი. ბოგომოლოვს ეგონა, რომ იგი ჩვენ საქმეს იცავდა ობოლენსკის ქვრივის წინააღმდეგ, ნამდვილად კი ის ადვოკატი ქვრივს ესარჩლებოდა. ვუთხარი ვ-ს, ეგ დამცველი ჩვენ წინააღმდეგ გიქირავებია, საქმე წააგეთ, ამიტომ სასამართლოს ხარჯის ანაზღაურება დაგეკისრათ და ახლა გინდათ საამისოდ მიიღოთ 50.000 ფრანკი მეთქი?! ეს რომ გუზოვსკიმ გაიგო, მეტად გაუკვირდა და მაშინვე ჩამოიცილა ვ.

ᲛᲗᲔᲚᲘ ჩვენი ქონება კარგად დაცული და მთლიანი აღმოჩნდა, ერთი ნემსიც არ დაგვკლებია. შევუდექი ნივთების ჩალაგებას ყუთებში, საქართველოში წამოსაღებად. 25 ყუთი გავამზადე, მაგრამ შემდეგ ავად გავხდი და ნივთების ჩალაგება შეწყდა. ამასობაში პარიზს ჩამოვიდნენ საქართველოდან გამოგზავნილნი, მათ შორის პროფ. შ. ამირანაშვილი. იგი თბილისის უნივერსიტეტში ჩემი პროფესორობის დროს სტუდენტი იყო და, რასაკვირველია, კარგად მიცნობდა. მან მოათავა ჩემი დაწყებული საქმე — განძეულობის ჩალაგება ყუთებში. შემდეგ მოსკოვიდან მოვიდა ოთი ამერიკული თვითმფრინავი, რომლებზედაც მოთავსდა მთელი ჩვენი განძეულობა. ჩვენი ავიამარშრუტი ასეთი იყო: პარიზიდან მარსელში, მარსელიდან — რომში, რომიდან — ბენგაზიში (ჩრდილო აფრიკა), ბენგაზიდან — ქაიროში (ეგვიპტე), ქაიროდან — თეირანში (ირანი), იქიდან კი — თბილისში. პარიზიდან გამოვფრინდით 5 აპრილს და თბილისში ჩამოვფრინდით 11 აპრილს 1945 წლისა.

თბილისში განძეულობის აღწერა დაეკისრა აკად. ს. ჯანაშიას, თვით ნივთები კი მოთავსდა საქართველოს მუზეუმში და სამხატვრო გალერიაში.

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲕᲐᲠᲐᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ - ᲡᲐᲠᲯᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

(დასასრული)

ქსელით, როგორც თბილისში, ისე ერევანში, ბაქოში, კავკავში, ყიზლარში, ბესარაბიაში და სხვა), ისე საქვლმოქმედო საქმეები. ოჯახის მოვლა და სხვა, მთლიანად ტვირთად დააწვა ეკატერინე ივანეს ასულს. 50 წელს მიღწეულმა ქალმა დიდი შეუდრეკელობა და სიმხნევე გამოიჩინა და ხუთი წლის განმავლობაში შეასანშხავად უძღვებოდა მთელ საქმიანობას.

დავითის სიკვდილმა დიდად დააღონა ეკატერინე. მას უთქვამს: „მე დავკარგე ცხოვრების ნამდვილი თანამგზავრი, ჩემი მეოროე მე, და ჩემი გულიც მასთან დაიკრძალაო“.

დავითი დიდების პანთეონში დასასვენებლად და ეკატერინემ მის გვერდით თავისთვისაც გაიმზადა სამარე. ორივეს საფლავს ვარდ-ყვავილებით ამკობდა. „მეც აქ ვმარხივარო“, — იტყოდა ხშირად.

ეკატერინეს ურჩევდნენ, რომ ძეგლი დაედგა დავითისთვის საფლავზე. დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილის სტიპენდიანტმა, ახალგაზრდა იაკობ ნიკოლაძემ დავითის საფლავის ძეგლის პროექტიც შექმნა და წარუდგინა ეკატერინე ივანეს ასულს. არა, ჩემს დათიკოს ჩემი ხელით ქვას ვერ დავადებო, — ამბობდა იგი. ოდეს მოვკვდე, დამკრძალონ მის გვერდით და ორივეს მხოლოდ ერთი ქვა დაგვადგიოთ.

თუ საქართველოს ბრწყინვალე გვარის შთამომავალნი თავიანთ მამაპაპეულ მამულ-დედულს ბანკებში აგირავებდნენ ან ჰყიდნენ, „მოქალაქის ქალი და მოქალაქის ცოლი ეკატერინე მომშიერნეობით ცხოვრობდა, სიმდიდრეს თავს უყრიდა, რომ ბოლოს მთელი ერასთვის მიეძღვნა“.

რაც შეეხება ნადიმებს, იგი ქრის სიკვდილის შემდეგაც მართავდა თავის სასახლეში. მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ საქვეყნო საქმეებზე ელაპარაკნათ. მას ის დღე მოაჩნდა ბედნიერ დღედ, როცა კეთილ საქმეს მოაგვარებდა.

1916 წლის 24 მაისს ეკატერინემ თავის სახლში დიდი შეხვედრა მოუწყო საიმპერატორო თეატრის დამსახურებულ არტისტს ალექსანდრი ივანეს-ძე სუმბათაშვილ-იუჟინს, სადაც ახალგაზრდა პოეტმა ი. გრიშაშვილმა ექსპრომტად ლექსიც მიუძღვნა ძვირფას სტუმარს.

1916 წლის ზაფხულში ეკატერინე საავარიკოდ იყო კისლოვოდსკში. მან იქ გაიგო, რომ უპირებდნენ თბილისში სახლის ჩამორთმევას და მის გამოყენებას სამხედრო საჭიროებისათვის. ამ ამბავმა დიდად იმოქმედა ეკატერინეზე, იგი თბილისაკენ გამოემგზავრა და 1916 წლის 5 ოქტომბერს, დილის ხუთ საათზე გზაში გარდაიცვალა თავისი ძმის ადამ ფორაქიშვილის ხელში. 11 აგვისტოს განსვენებულის ნეშტი თავისი ქმრის გვერდით — დიდუბის პანთეონში დაკრძალეს.

განსვენებულის ანდერძის თანახმად კუბო გვირგვინებით არ შეიმკათ. მეუღლის მსგავსად, ეკატერინე ივანეს ასულმა ქონების უდიდესი ნაწილი, რომლის ღირებულება სამ მილიონ მანეთს შეადგენდა, უანდერძა თავის ერს. ანდერძის აღმასრულებლებს იყვნენ ადამ ივანეს-ძე ფორაქიშვილი, დავით ილარიონის-ძე ფორაქიშვილი, ალექსანდრა თევდორეს ასული სარაჯიშვილი და გიორგი ვასილის-ძე მაჩაბელი.

ანდერძის თანახმად ქონება შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

1. 500 ათასი მანეთი — წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. გარდა ამისა, ამ საზოგადოებას ეკატერინე ივანეს ასულმა დაუთმოვა 90 ათასი მანეთი პროცენტიანი ქაღალდები, რომლებიც მისი ძმის ვასილ ივანეს-ძე ფორაქიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1919 წელს, გადაეცა ამ საზოგადოებას;

2. 200 ათასი მანეთი — ისტორიულ - ეთნოგრაფიულ საზოგადოებას;

3. 150 ათასი მანეთი — ქუთაისის თეატრის ასაშენებლად;

4. 25 ათასი მანეთი — ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას;

5. 50 ათასი მანეთი — თბილისში პოლიტექნიკური ან სხვა უმაღლესი სასწავლებლის დასაარსებლად;

6. 30 ათასი მანეთი — ჯაკეიის (დრჯონაკიძე) ლარიბ მოსწავლეთათვის (განურჩევლად ეროვნებისა) სწავლის ქირის გადასახდელად.

7. 25 ათასი მანეთი — საქართველოს საეთნოგრაფიო საზოგადოებას წიგნების გამოსაცემად;

8. 100 ათასი მანეთი — თბილისის ქართულ დრამატულ საზოგადოებას;

9. 10 ათასი მანეთი — სამოწათმოქმედო სახელოსნოს ახალშენთა და თავშესაფართა საზოგადოებას.

10. 171 ათასი მანეთი — სარაჯიშვილის ფირმის მუშა - მოსამსახურეებისათვის;

11. 5 ათასი მანეთი — ქართული ფილარმონიის საზოგადოებისათვის;

12. 20 ათასი მანეთი — ქართულ სიტყვაკაზმულ მწერალთა საზოგადოებას, ახალი ქართული ორიგინალური ბელეტრისტული ნაწარმოებისათვის პრემიის დასანიშნავად;

13. 50 ათასი მანეთი — ავლაბარში საპროფესიო სკოლის დასაარსებლად და შესანახად;

14. 10 ათასი მანეთი — მოსკოვის ქართულ საზოგადოებას;

15. 10 ათასი მანეთი — დიდუბის ტაძარს;

16. 5 ათასი მანეთი — რუსეთის მევენახეობისა და მეღვინეობის საზოგადოების სადგურს ოდესაში;

17. 200 ათასი მანეთი — ქირურგიული საავადმყოფოს ასაშენებლად თბილისში.

დიდძალი თანხა გადაეცა საქართველოს ტაძრებს, მონასტრებსა და ეკლესიებს.

ზემოხსენებულ სამ მილიონ მანეთს ემატებოდა კიდევ მთელი ქონების ნაღდებისა და სავაჭრო დაწესებულებათა ორ მილიონამდე ქონება, რომელთა ლიკვიდაციის შემდეგ, ანდერძის მიხედვით, მთელი თანხა უნდა გადასცემოდა წერა-კითხვის გამავრცელებელ, საისტორიო-საეთნოგრაფიო და თბილისის დრამატულ საზოგადოებებს.

როგორც დავით ზაქარიას-ძის, ისე ეკატერინე ივანეს ასულ სარაჯიშვილის ანდერძი პრაქტიკულად განხორციელდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გამონაკლისს, რაც უნდა აიხსნას იმდროინდელი ომითა და არეული მდგომარეობით.

ეკატერინე ივანეს ასული ისეთივე დიდი ცხერმონიალით დაკრძალეს, როგორც მისი მეუღლე — დავით სარაჯიშვილი. სიტყვები წარმოთქვეს ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარემ აკაკი ფალავამ, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორმა ი. იმედაშვილმა და სხვებმა. სამძიმრის დეპეშები კი ყველა მხრიდან იქნა მიღებული. ერთ დეპეშაში ალ. წუწუნავა და ვ. გოცირიძე ლინშნავდნენ: „უღრმესი პატივისცემით მოხსენიებულ იქნას ეკატერინე ივანეს ასულის ცხედრის წინაშე, როგორც სამშობლოს ღირსეული დედის წინაშე“.

ქუთაისის ქალაქის მოურავი ი. ჩიქოვანი ამბობდა: „იმერელს, როგორც ყველა ქართველს, უყვარს თავის თეატრში სიარული და როდესაც შენის საშუალებით აშენებულ თეატრში შევალ, უმაღლესი მამულიშვილური გრძნობებით აღვივსება იგი და შენს ძვირფას სახელსაც მაშინ მადლობით მოიხსენიებს“.

ეკატერინე ივანეს ასულ სარაჯიშვილის პატრიოტულ საქმიანობას ყოველთვის მადლიერებით მოიხსენიებს ქართველი ხალხი.

ა. სტეფანიშვილი.

ცეცხლზე შემოდგომის რძესავით

(დასასრული).

მთების სიმღერები, მუსიკა სუსიდან. მე ვიცი, საიდანაც მოდის ეს სიმღერები.

— იცოდე, დიდხანს არ იავადმყოფო, — ვუთხარი არამინტას.

— რომ იცოდე, უფრო კარგად გავხდები, — მიპასუხა მან.

მეც ავუწიე მუსიკას და დავიწყე ცეკვა, სიცილი. შემდეგ ვუთხარი:

— არა, სირცხვილია, დღეს შენი დის ქმარი შინ არის. რას იტყვის, რომ გაიგოს — ფატიმა დახტის, როკავს და სიცილ-კისკისს მეტს არაფერს აკეთებსო.

არამინტამ კი მითხრა, არაფერიც არ უჭირს, ნესრანებისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვსო.

შემდეგ მე ისევ მივუჯექი და იგი თავის ამბავს მომიყვა: რომელ სკოლაში სწავლობდა ფრანგების ქვეყანაში, რას აკეთებდა. იქ ბევრი ავტომანქანაა ქუჩებში და საუზმის დროს ყველა ღვინოსა სვამსო.

ჩემი ვაჟიშვილი ჰამიდიც მოგზაურობს. როცა დაბრუნდება, ალბათ ისიც მომიყვება ნესრანების ქვეყნის ამბებს.

შემდეგ ისევ მე ვუთხარი:

— მოდი ახლა ვიცინოთ. ქვეყნებზე, მიწებზე და ადათ-წესებზე ლაპარაკი კაცების საქმეა.

ამის თქმაზე არამინტას გაეცინა.

— აიშე კანდიშეზე[1] ვილაპარაკოთ, — თქვა მან და ორივემ გულიანად გადავიხარხარეთ.

— უფრო სასაცილო რამეს მოგიყვები, — ვუთხარი მე.

—კეთილი, — დამეთანხმა იგი.

სასაცილო ამბები ბევრია და მეც მოვუყვები და მოვუყვები ჩემი ნესრანიას დას, სანამ სულ არ გამოეთანმრთელდება და ლოვინიდან არ წამოხტება.

არამინტა

თითქმის ყოველდღე ვხვდები ადამიანებს. მე ვფიქრობ მათზე, ვლოცულობ მათი სულისათვის.

ხანდახან მინდა, რომ მეგობარი მყავდეს, რომელიც მოვიდოდა და ჩემს ოთახს ნახავდა.

როდესაც ყველაფერს დავათვალიერებინებდი — საწოლს, სკამს, ბამბის ლურჯ ნოხს, მაგიდაზე კოხტად დადებულ ორ წიგნს, შემდეგ ვეტყოდი: „ეს ჩემი ოთახია. ჩემი ოთახი, სადაც შემიძლია შემოყვარდეს ვინმე: აქ ვწევარ ჩემს ლოგინზე, დილით ვდგები, ფანჯრები ღია მაქვს. ეს არის ის ოთახი, სადაც თმას ვივარცხნი, ღამღამობით ვოცნებობ, ხანდახან ჩავიკეტები ხოლმე, რომ მარტო ვიჯდე და მძულდეს. ამ ოთახში ვხატავ პატარა სურათებს. აქვე ვიმღერებ ადამიანებს, თვალმიმტერებული დაკვირვებით ვათვალიერებ ჩემს თავს. ჩავიჩრობ სინათლეს. შემიძლია ხმამაღლა ვილაპარაკო — ისე, რომ ვერავინ გაიგონოს. აქ ვსვამ თბილ რძეში შერეულ კვერცხის გულს, როდესაც ყელი მტკივა. აქ ვლოცულობ, ფრჩხილებს ვიჭრი და ვლოცულობ“.

თუ ამაზე გაეცინა, მაშინ ვეტყვი: „დიახ, ამ ოთახში მინდა ნაადრევი სიკვდილი, ვიდრე ცრემლი დამილბობდეს თვალებს, ვიდრე ჩემი ლოცვები შემიშრობდეს ცრემლს. ამ ოთახში მესმის მარადიული სიცოცხლე. აქა მაქვს შენახული ჩემი ტანისამოსი და ფული. აქ ვოცნებობ. ვწევარ, როცა კუჭი მაწუხებს. დაუფარავად ვნაღვლობ ჩემს სიყვარულზე. ამ ოთახში ვადგენ ჩემს გეგმებს, სულით ვეძლევი ღმერთს, თვალებში ნათელი მაქვს ჩამდგარი. ეს ჩემი ოთახია“.

იქნებ იმ კაცსაც შეუყვარდეს ჩემი ოთახი.

ინგლისურიდან თარგმნა

ზურაბ გემაზაშვილმა.

1. ქალი — მოჩვენება, რომელიც თავისი მომხიბვლელობით აცთუნებს გულუბრყვილო მამაკაცებს და ღუპავს მათ.







იცნობდეთ: ახალგაზრდა მხატვარი

ლალი ლეჟავას სამხატვრო აკადემიაში არ უსწავლია, სურვილიც თითქოს არა ჰქონია. ბავშვობაში უყვარდა ხატვა. ხატავდა მახლობლებს და ნაცნობებს, მასვილად ამჩნევდა სახასიათო ნაკვთებს. ხოლო როდესაც პროფესიის არჩევის დრო დადგა, ლალიმ გადაწყვიტა პედაგოგი გამხდარიყო და თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში შევიდა.

ამჟამად ლალი ლეჟავა ინგლისურ ენას ასწავლის ჭიათურის მეხუთე საშუალო სკოლაში.

მაგრამ ხატვისკენ მისწრაფებას არ გაუვლია. ერთხელ ლალიმ ნელი ოქროპირიძის გამოფენა ნახა და გადაწყვიტა გამოეცადა თავისი ძალა გამოყენებითი ხელოვნების ამ დარგში. მისმა აპლიკაციებმა მნახველთა და სპეციალისტთა აღფრთოვანება გამოიწვია. ლალის უკვე ასამდე ნამუშევარი აქვს. მისი ნამუშევრების გმირები ბავშვები არიან.

ახლა მზადდება ლალი ლეჟავას პერსონალური გამოფენა.

სურათებზე: ლალი ლეჟავა; ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევრები: „ტყეში სოკოზე“, „ფისო, შემომხედე“.

აჭარაში ხალხურ მთქმელთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს **მემედ უურშუბის-ძე ჭუონიას**, სოფელ ჭობულეთის მკვიდრს. იგი **1860** წელს დაიბადა, ქართველი პატრიოტის ოჯახში. დედამისი ელმას კობახიძე საკმაოდ განათლებული ქალი იყო, იცოდა წერა-კითხვა და მემედმა სწორედ მისი შემწეობით შეისწავლა ანბანი, შეიყვარა მშობლიური ლიტერატურა. გადმოგვცემენ, რომ მემედს ზეპირად სცოდნია „ვეფხისტყაოსანი“, ს. გუგუნავას „თამარიანი“, ილიასა და აკაკის, აგრეთვე ვაჟა-ფშაველას და მამია გურიელის ლექსები. იგი იმდენად თვალსაჩინო პიროვნება ყოფილა, რომ მას ახსენებენ ცნობილი ქართველი უურნალისტები სერგეი მესხი და თედო სახოკია. უურშუბ ჭუონიას თავი გამოუჩენია რუსეთ-ოსმალეთის **1877-1878** წლების ომში და სერიოზული წვლილი შეუტანია დედა-საქართველოსთან აჭარის შეერთება-შემომტკიცებაში.

მე მსურს შენთვის დავიფერფლო...

მე შენს გულში მსურს ჩავეფლო,
მე მსურს შენთვის დავიფერფლო,
ცის და მიწის შესამკობლად
მინდა მარად იდედოფლო.
მსურს წინაპრებს გულით ვგავდე,
შენთვის ვმკიდე, შენთვის ვრგავდე,
ჩემი ხელით, ხმლით და კალმით
ლამაზ გულმკერდს გიქარგავდე.
ვინ შემიცვლის გულს გულუცვლელს,
ვინ მოგითვლის გმირებს უთვლელს,
შენი მიწა კვლავ გამოზრდის
ერეკლეს და თამარს, რუსთველს.
აჰა, გული სპეტაკ წმინდა,
შენი ეშხით გამიბრწყინდა,
მე სიცოცხლე და სიმღერა,
საქართველოვ, შენთვის მინდა!

დისერტაცია ჩეხოსლოვაკიაში

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტი კარლო ქველაძე ერთი წლით გაგზავნეს სამეცნიერო მივლინებით ჩეხოსლოვაკიაში. ბრნოს უმაღლესი ტექნიკური სკოლის მუშებში და ქიმიური მრეწველობის ფაკულტეტის კოლექტივი ზრუნვითა და ყურადღებით შეხვდა მას. ყველა პირობა შეუქმნეს ნაყოფიერი მეცნიერული კვლევისათვის, ხოლო ერთი წლის შემდეგ კ. ქველაძემ ქართველთა შორის პირველმა დაიცვა ჩეხოსლოვაკიაში დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის უმაღლესი სასწავლებლის დელეგაცია ეწვია ამიერკავკასიის უდიდეს ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელს. თბილისში ყოფნის დროს მათ წინადადება წამოაყენეს დაედოთ ხელშეკრულება შემოქმედებითი თანამშრომლობის შესახებ.

ორი უმაღლესი სასწავლებლის თანამშრომლობას საფუძველი ჩაეყარა. იგი ხელს შეუწყობს საქართველოსა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

[I-10]

შეუვალი კარებიდან

ფეხბურთი, ჩოგბურთი, ჭიდაობა



სურათზე: კიევისა და თბილისის დინამოელთა მატჩი. შეტევაზეა მურთაზ ხურცილავა.

კიევის „დინამო“ რომ დღეისათვის უძლიერესი კლუბია საბჭოთა კავშირში, ეს ეჭვს არ იწვევს. მართალია, იგი ჯერჯერობით მეორე ადგილზეა, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა და მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. სწორედ ამ გუნდთან ჰქონდა თბილისის „დინამოს“ მატჩი, რომელიც თბილისში გაიმართა.

შეხვედრა საინტერესო და ლამაზი გამოდგა. უნდა ითქვას, რომ უპირატესობა ქართველ ფეხბურთელებს ეპყრათ და საგოლო მომენტებიც მეტი შექმნეს. შესანიშნავი იყო **მურთაზ ხურცილავა** — უდავოდ უძლიერესი ფეხბურთელი. ტრამვის შემდეგ ეს მისი პირველი თამაში იყო და „დებიუტი“ ბრწყინვალე გოლით აღნიშნა. თამაში რომ 1:1 დამთავრდა, ეს ერთადერთი შეცდომის ბრალია, რომელიც მეკარემ და მცველებმა დაუშვეს. მომდევნო მატჩი თბილისელებმა ოდესის „ჩერნომორეცთან“ ითამაშეს, ითამაშეს ბრწყინვალედ და გაიმარჯვეს — 4:0. ბეურთები გაიტანეს **გ. ნოდიამ, მ. ხურცილავამ, ს. მეტრეველმა და მ. მეხუმა.** ჩვენ ადრეც ვიუწყებოდით, რომ ზოგიერთი მომომხიარული თბილისელებს დაცვითს ტენდენციას სწამებდა. სწამებდა იმიტომ, რომ მათ ყველაზე ცოტა ბურთი აქვთ მიღებული — ხეთი. მაგრამ ორ უკანასკნელ მატჩში „დინამომ“ ექვსი ბურთი გაიტანა და ეს ცოტა როდია.

„ჩერნომორეცის“ შედეგ მეტად პაუხსაგები მატჩი გაიმართა მოსკოვში. ადგილობრივმა „ტორპედომ“ მიიღო თბილისის „დინამო“ (ამის წინ მოსკოველებმა სასტიკად დაამარცხეს ლიდერი „სპარტაკი“ — 5:1). ამ პაექრობას ტელევიზორით ადევნებდა თვალს მთელი საქართველო. ქართველმა ფეხბურთელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს — 2:0. ჯერ იყო და **ვ. ჰელიძემ** (ცენტრალური მცველი) ოცდათხუთმეტი მეტრიდან უძლიერესი და ულამაზესი დარტყმით გახსნა ანგარიში, შემდეგ კი დაუფლალამა **ს. მეტრეველმა** საჯარიმო გაიტანა. არ შეიძლება არ აღნიშნოს მეკარის **რ. ურუშაძის** თამაში. მან პენალტი აიღო და საბოლოოდ დააყრევინა ფარხმალი მიტოჭქის. ახლა თბილისის „დინამო“ (24 ქულა, ბურთების შეფარდება 18:5) მესამე ადგილზე იმყოფება.

სუსტად გამოდიან ჩემპიონატში ქუთაისელი ფეხბურთელები, რომლებიც უკანასკნელისწინა ადგილზე არიან. სამწუხაროდ, ეს ასეა დღეს. ბოლო მატჩებში ქუთაისელებმა ვერც ერთი ქულა ვერ აიღეს და სამშობლო ზონაში აღმოჩნდნენ.

ვინც უომბლდონის ჩოგბურთელთა შეჯიბრებას ადევნებდა თვალს გაზეთებით მაინც, არ შეიძლება არ გაეხარებინა ქართველი ოსტატის **ალექსანდრე მეტრეველის** წარმატების ცნობას. მართალია, პირად ჩათვლაში იგი მხოლოდ უძლიერეს თექვსმეტთა შორის გავიდა, სამაგიეროდ შეორეულ წყვილთა თანრიგში **ოლღა მოროზოვასთან** ერთად ისე ბრწყინვალედ ითამაშა, რომ პირველად საბჭოთა სპორტის ისტორიაში უიმბლდონის ფინალში მოხვდა.


შეიძლება გამოვიდა საბჭოთა დუეტი კორტებზე და ექვსჯერ ბრწყინვალედ გაიმარჯვა. მათ დამამარცხეს ისეთი ძლიერი პროფესიონალი. წყვილები, როგორც არიან ს. კოზლესი — 6:2, 6:4, ნ. რიჩი და ტ. ოკერი, ე. ჯონსი და ფ. სტოლე — 6:3, 12:10. მართალია, მათ წაგებს ფინალში სმიტ - კურტ - ფლეტჩერთან — 1:6, 12:14, მაგრამ გაზეთები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო ფინალი და საბჭოთა ჩოგბურთელების ეს დიდი წარმატება სავსებით კანონზომიერიაო.

დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. საბჭოთა გუნდმა ასპარეზობაში მეორე ადგილი დაიკავა ბულგარეთის შემდეგ. პირად ჩათვლაში ჩვენი რესპუბლიკიდან კონტინენტის ჩემპიონი გახდა საშუალო წონის მოჭიდავე **ანდრო ცხოვრებოვი**, ქვესაშუალო წონაში ბრინჯაოს მედალი ხვდა **გ. საღარაძეს.**

ო. ლორთქიფანიძე.

შენ დაკარგულხარ, ქალაქო!







სურათებზე: კარლო ივანიძე; კარლო ივანიძე და ქეთევან ცინცაძე; ქეთევან ცინცაძე და სულიკო ივანიძე (ყველა სურათი გადაღებულია ომამდე).

კარლო ილიას-ძე ივანიძეს, დაბადებულს 1908 წელს, ეძებენ შვილი სულიკო ივანიძე, მეუღლე ქეთევან ცინცაძე, მცხოვრებნი ქალაქ თბილისში.

ა ი წერილი, რომელსაც გზავნის ქეთევან ცინცაძე უმისამართოდ, ჩვენი გაზეთის დახმარებით.

კარლო! 1941 წლის 23 სექტემბრის წერილი მაქვს შენი, მერე არავითარი ცნობა აღარ მომიღია. იმ დღიდან დაგეძებ და ახლა, 68 წლის მაისში ვნახე არგენტინიდან ჩამოსული შოთა თარხნიშვილი, რომელმაც სურათით გიცნო, სახელიც მითხრა შენი, ოღონდ გვარი არ მახსოვსო, რადგან თავის გვარს იქ ივანოვად ატარებენო. თარხნიშვილს 44 წელში საფრანგეთში დაუტოვებიხარ. კარლო, თუ ცოცხალი ხარ, მოიგონე შენი პირველი სიხარული — ჩვენი სულიკო. იგი ამა წლის აგვისტოში 40 წლისა ხდება, შენსავით ჭაღარაა. მუშაობს საქართველოში ერთერთ უდიდეს ქარხანაში, თბილისის ჩარხსამშენებლო ქარხანაში წამყვან ინჟინერ-კონსტრუქტორად. ჰყავს ორი შვილი, უფროსი 14 წლის, რომელსაც შენი სახელი — კარლო დავარქვით, უმცროსი — 12 წლის დათო. ავ თვალს არ ენახვება, ისეთი კარგი ბავშვები არიან და ყველაფერში წარჩინებულნი.

ნუთუ შენ ცოცხალი ხარ და არ აღგეძრა გრძნობა შვილის სიყვარულისა? ჩვენ შენი არაფერი გვინდა, იცხოვრე როგორც გინდოდეს, ოღონდ გაგვაგებინე, ცოცხალი ხარ თუ არა?

ვინც ჩამოდის, ყველა თავისი ცოდნის მიხედვით პასუხსაგებ ადგილზე მუშაობს. ძველი დრო წავიდა საშიში რომ იყო. შვებულებითაც ჩამოდიან, ვისაც ცოლ-შვილი ჰყავს, აქაურ ცოლ-შვილს ნახულობენ და უკანვე ბრუნდებიან. ჩვენი თხოვნაა, თუ სადმე სუნთქავ, ორი სიტყვით გაგვაგებინე შენი არსებობა, სხვას ხომ არაფერს ვთხოულობთ. თუ დაგაინტერესებს და მოგვწერ, დანარჩენ ამბებს შემდეგ დაწვრილებით შეგატყობინებთ.

ქეთო ცინცაძე.

საქართველოს სსრ ქ. თბილისი, ოქტომბრის რაიონი, კლარა ცეტკინის ქ. № 50.

გამოიწერეთ საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი

თბილისი, გ. ათონელის, ქ. № 25.